პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის _____ დეკემბერი, ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული წილის საკუთრებაში გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს საკუთრებაში გადაცემული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სააქციო საზოგადოება „სს საფეხბურთო კლუბი დბ 1923“-ისათვის (ს/ნ 445813095) პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა შემდეგი პირობებით:

ა.ა) საბანკო გარანტიის წარდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, შემოთავაზებული ჯგუფი წარმოადგენს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სრულად დაფარავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებუ-ლებების შესრულების პერიოდს და ამასთანავე გადაასწრებს/აღემატება მას არანაკლებ 2 თვით;

ა.ბ) ინვესტიციის მოცულობა და განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, ინვესტორი იღებს ვალდებულებას განახორ-ციელოს საფეხბურთო კლუბში წლიურად არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის, ხოლო ჯამურად არანაკლებ 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარის ინვესტიცია. ინვესტიცია მოხმარდება კლუბის სრულფასოვან ფუნქციონირებას, მათ შორის: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; ეკიპირებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას; მივლინებებსა და საწვრთნელ შეკრებებს; ფეხბურთელთა სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობის ხარჯებს (საჭი-

როების შემთხვევაში); მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; პროფესიული გუნდის მონაწილეობას ევროტურნირში და მასთან დაკავშირებულ ყველა საორგანიზაციო ხარჯს; ამხანაგურ და ოფიციალურ მატჩებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანახარჯებს;

ა.გ) საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნებთან შესაბამისობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, კლუბი იმუშავებს UEFA-სა და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების სრული შესაბამისობით. ინვესტორი უზრუნველყოფს, რომ კლუბმა ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ განსაზღვრული ლიცენზირების პროცესი და მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებსა და სხვა ოფიციალურ ტურნირებში;

ა.დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ინვესტორი წარმოადგენს: კლუბის საკუთრებაში გადაცემის დროისათვის ქონების (წილის) საბაზრო ღირებულების შეფასებას და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნას (რომელიც მომზადებული იქნება იმ აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი).

ა.ე) პოზიტიური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ბ) შპს „დინამო ბათუმი“-ს კაპიტალიდან გამოტანილი, ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №89-ში მდებარე 58 566,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (ს/კ 05.32.02.159) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს უპირობოდ, მათ შორის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ასახული პირობების გარეშე.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილი საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას პოზიტიური პირობით (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისსაკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და 2019 წლის 19 სექტემბრის N71 განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.ზემოხსენებულ განკარგულებაში მითითებული პოზიტიური პირობის შესრულების მიზნით განხორციელდა შესაბამისი პროცედურები, მათ შორის ცვლილება შპს „დინამო ბათუმი“-ს საწესდებო კაპიტალში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის 2019 წლის 20 სექტემბრის ბრძანება თან ერთვის), რის საფუძველზე საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილ იქნა 13 523 407 ლარის ღირებულების უძრავი ქონება ს/კ 05.32.02.135 დანართი 1-ის შესაბამისად და 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაეცა შპს „ლამინი“-ს 49 წლის ვადით (ახალი ს/კ 05.32.02.159). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2025 წლის 9 დეკემბრის ბრძანებით “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ლამინი“-ს შორის 2020 წლის 06 იანვარს გაფორმებული No01 ხელშეკრულების მოშლისა (გაუქმების) და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ გაუქმდა საკრებულოს პოზიტიური პირობით განსაზღვრული შედეგი, რაც განკარგულების შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადმოცემული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის და უძრავი ქონების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნების საფუძველია. აქვე გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 11 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემოვიდა სს,, საფეხბურთო კლუბი დბ 1923“-ის (ს/ნ 445813095) წერილი, სადაც ითხოვს შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 % წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას შემდეგი პირობებით: საბანკო გარანტიის წარდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, შემოთავაზებული ჯგუფი წარმოადგენს არანაკლებ 200,000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სრულად დაფარავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პერიოდს და ამასთანავე გადაასწრებს/აღემატება მას არანაკლებ 2 თვით; ინვესტიციის მოცულობა და განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, ინვესტორი იღებს ვალდებულებას განახორციელოს საფეხბურთო კლუბში წლიურად არანაკლებ 6,000,000 (ექვსი მილიონი) ლარის, ხოლო ჯამურად არანაკლებ 30,000,000 (ოცდაათი მილიონი) ლარის ინვესტიცია. ინვესტიცია მოხმარდება კლუბის სრულფასოვან ფუნქციონირებას, მათ შორის: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; ეკიპირებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას; მივლინებებსა

და საწვრთნელ შეკრებებს; ფეხბურთელთა სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობის ხარჯებს (საჭიროების შემთხვევაში); მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; პროფესიული გუნდის მონაწილეობას ევროტურნირში და მასთან დაკავშირებულ ყველა საორგანიზაციო ხარჯს; ამხანაგურ და ოფიციალურ მატჩებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანახარჯებს; საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნებთან შესაბამისობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, კლუბიიმუშავებს UEFA-სა და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების სრული შესაბამისობით. ინვესტორი უზრუნველყოფს, რომკლუბმა ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისმიერ განსაზღვრული ლიცენზირების პროცესი და მიიღოს მონაწილეობასაქართველოს ჩემპიონატებსა და სხვა ოფიციალურ ტურნირებში; ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ინვესტორი წარმოადგენს: კლუბის საკუთრებაში გადაცემის დროისათვის ქონების (წილის) საბაზრო ღირებულების შეფასებას და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნას (რომელიც მომზადებული იქნება იმ აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრო მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა საინვესტიციო განაცხადის მოწონების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ზემოხსენებულ განკარგულებაში.

ბ) განკარგულების ძირითადი არსი.

განკარგულების მიხედვით ხორციელდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით კერძოდ:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული წილის საკუთრებაში გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს საკუთრებაში გადაცემული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სააქციო საზოგადოება „სს საფეხბურთო კლუბი დბ 1923“-ისათვის (ს/ნ 445813095) პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა შემდეგი პირობებით:

ა.ა) საბანკო გარანტიის წარდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, შემოთავაზებული ჯგუფი წარმოადგენს არანაკლებ 200,000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სრულად დაფარავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პერიოდს და ამასთანავე გადაასწრებს/აღემატება მას არანაკლებ 2 თვით;

ა.ბ) ინვესტიციის მოცულობა და განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, ინვესტორი იღებს ვალდებულებას განახორციელოს საფეხბურთო კლუბში წლიურად არანაკლებ 6,000,000 (ექვსი მილიონი) ლარის, ხოლო ჯამურად არანაკლებ 30,000,000 (ოცდაათი მილიონი) ლარის ინვესტიცია. ინვესტიცია მოხმარდება კლუბის სრულფასოვან ფუნქციონირებას, მათ შორის: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; ეკიპირებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას; მივლინებებსა და საწვრთნელ შეკრებებს; ფეხბურთელთა სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობის ხარჯებს (საჭიროების შემთხვევაში); მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; პროფესიული გუნდის მონაწილეობას ევროტურნირში და მასთან დაკავშირებულ ყველა საორგანიზაციო ხარჯს; ამხანაგურ და ოფიციალურ მატჩებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანახარჯებს;

ა.გ) საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნებთან შესაბამისობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, კლუბი იმუშავებს UEFA-სა და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების სრული შესაბამისობით. ინვესტორი უზრუნველყოფს, რომ კლუბმა ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ განსაზღვრული ლიცენზირების პროცესი და მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებსა და სხვა ოფიციალურ ტურნირებში;

ა.დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ინვესტორი წარმოადგენს: კლუბის საკუთრებაში გადაცემის დროისათვის ქონების (წილის) საბაზრო ღირებულების შეფასებას და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნას (რომელიც მომზადებული იქნება იმ აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი).

ა.ე) პოზიტიური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ბ) შპს „დინამო ბათუმი“-ს კაპიტალიდან გამოტანილი, ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №89-ში მდებარე 58 566,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (ს/კ 05.32.02.159) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს უპირობოდ, მათ შორის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ასახული პირობების გარეშე.“.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**